საბანკო მომსახურების ზოგადი პირობები

ტერმინთა განმარტება

ანგარიში - გულისხმობს მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ყველა სახის სადეპოზიტო ანგარიშს კრედიტის გარეშე ან კრედიტით მომხმარებლისათვის დასაშვები ლიმიტის ფარგლებში, სახელწოდებით სადეპოზიტო ან ოვერდრაფტის ანგარიშები ქართულ ლარში (GEL), უცხოურ ვალუტაში (FX).

ანაბარი (დეპოზიტი) - ბანკში მეანაბრეს მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელსაც ერიცხება სარგებელი.

ანაბარის (დეპოზიტის) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ანაბრის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელუ ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების გაწევისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით.

ავტომატური გადახდა - ბანკის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ ავტომატურად განხორციელებული საგადახდო ოპერაცია, მესამე პირისაგან მიღებული ინვოისის / დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გადახდილი უნდა იქნას მომხმარებლის განაცხადში მითითებული ინფორმაციის, ინსტრუქციის ან/და განაცხადის ფორმაში მითითებული გადასახდელი თანხის ოდენობით.

ბანკი - სს ზირაათ ბანკი საქართველო.

გადახდა - ნიშნავს ავტომატური/რეგულარული ანგარიშსწორების დავალების საფუძველზე განხორციელებული ყველა სახის თანხის ჩამოჭრასა და გადახდის ოპერაციას.

დაკავშირებული ხელშეკრულება - ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე და ფარგლებში, ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები.

ელექტრონული ბანკინგი - ნიშნავს მომხმარებლის შესაძლებლობას შევიდეს საბანკო სისტემაში მომხმარებლის კოდითა და პაროლით ისეთი სისტემის საშუალებით, რომელზე წვდომასაც ბანკი უზრუნველყოფს ნებისმიერ დროს მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, მათ შორის, ინტერნეტის, GPRS, WAP, ინტერაქტიული ხმოვანი მენიუს (Interactive Voice Response), ასევე ტექნიკური მოწყობილობების მეშვეობით, რომელიც აღჭურვილია სადენიანი/უსადენო კომუნიკაციის საშუალებით, და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა სახის მიმდინარე და სამომავლო საბანკო ოპერაციები იმ ლიმიტების ფარგლებში, რასაც ბანკი განსაზღვრავს.

საპროცენტო განაკვეთი - ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - კრედიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი.

კრედიტის მთლიანი თანხა - საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი მთლიანი მისაღები თანხის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა.

მომხმარებელი - ნიშნავს პირს/პირებს, ვის სახელზეც გაიხსნა ანგარიში ბანკში წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და რომელიც უფლებამოსილია განკარგოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი და ყველა პროდუქტი, მომსახურება და ანგარიში; ფიზიკური პირებისა და კერძო კომპანიების შემთხვევაში, თავად მომხმარებელი; ხოლო კორპორატიული კლიენტების შემთხვევაში, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ან ძირითადი მომხმარებლის იურიდიული წარმომადგენლები ან მინდობილი პირები, როლებსაც კომპანია ანიჭებს უფლებას ისარგებლონ ინტერნეტ ბანკით.

მსესხებელი - რეზიდენტი ან არარეზიდენტტი პირი (კლიენტი ან/და მომხმარებელი). რომელიც სარგებლობს ბანკის საბანკო ან/და საკრედიტო პროდუქტების მომსახურებით.

მონაცემთა მუდმივი დაცვა - გულისხმობს ტექსტურ შეტყობინენებს, ელ.ფოსტას, ინტერნეტს, დისკებს, CD, DVD, მეხსიერების ბარათებსა და მსგავს ინსტრუმენტებს, მოწყობილობებს, რომელზეც ხდება მომხმარებლის მიერ ან მომხმარებლისათვის გაგზავნილი ინფორმაციის ჩაწერა, რაც საშუალებას იძლევა გონივრულ ვადაში შემოწმდეს ამგვარი ინფორმაცია მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე, და რაც უზრუნველყოფს არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

მხარეები - ბანკი და მსესხებელი/მომხმარებელი/კლიენტი ერთად.

ნაღდი ანგარიშსწორების ფასი - დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დროს საქონლის/მომსახურების ფასი, რომელსაც დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების მონაწილე მომხმარებელი გადაუხდიდა საქონლის მიმწოდებელს საკუთარი სახსრებით ანგარიშსწორების შემთხვევაში ბანკის კრედიტის გამოყენების გარეშე.

პაროლი - ბანკის მიერ მომხმარებლისათვის გადაცემული კონფიდენციალური სიმბოლოების კომბინაცია, რომელიც დაცული კონფიდენციალურად, და რომელიც უფლებას აძლევს მფლობელს შეიძინოს საქონელი და მომსახურება, წვდომა ქონდეს და განახორციელოს სხვადასხვა ოპერაციები ბანკომატისა და სადისტრიბუციო არხების მეშვეობით, და რომელიც შეიძლება შეიცვალოს ბანკის მიერ უზრუნველყოფილი არხებით.

რეგულარული ანგარიშსწორება - გულისხმობს საგადახდო ოპერაციებს, რომლებიც ხორციელდება ავტომატურად, მესამე მხარისათვის საბანკო გადარიცხვის ან/და რელურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) მეშვეობით, განაცხადის ფორმაში მომხმარებლის მიერ მითითებული ანგარიშის/ანგარიშების ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციის / ინსტრუქციის საფუძველზე.

საბანკო პროდუქტი - სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობს ბანკი.

საკრედიტო დოკუმენტი - ნიშნავს დოკუმენტს, რომელსაც გასცემს მერჩანტი (სავაჭრო ობიექტი) ბარათის მფლობელის ანგარიშის გარკვეული თანხით დაკრედიტების მიზნით, საკრედიტო ბარათის მეშვეობით შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში ან თუკი ამგვარი წესით შეძენილი სერვისები ან საბანკო ოპერაციები გაუქმდება.

ფინანსური ხარჯი - ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საბანკო პროდუქტების მიღების, შენარჩუნებისა და დახურვისათვის გასწევ აუცილებელ ხარჯს.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი - საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულებაში და უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის მანძილზე ან რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების, გარდა საჯარო ინდექსის ცვლილების გარემოებისა, დადგომის შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებად არ მიიჩნევა ხელშეკრულებაში წინასწა განსაზღვრული პირობების შესაბამისად მსესხებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთის ავტომატური ცვლილება.

ხელშეკრულების თავსართი - ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ძირითადი ხელშეკრულება - ბანკთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ბანკსა და მსესხებელს შორის საკრედიტო მომსახურების ძირითად პირობებსა და პარამეტრებს.

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი აწესრიგებს სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სუბიექტებისათვის საბანკო მომსახურების გაწევის პირობებსა და მხარეთა უფლებამოვალეობებს საბანკო მომსახურების გაწევის/მომსახურებით სარგებლობის პროცესში.
2. ბანკი უწევს კლიენტს შემდეგი სახის საგადახდო მომსახურებას:
   ა. საბანკო ანგარიშის გახსნა და ანგარიშის მეშვეობით საგადახდო და არასაგადახდო ოპერაციების წარმოება;
   ბ. საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურება;
   გ. სადეპოზიტო / საანაბრო მომსახურება;
   დ. საკრედიტო მომსახურება;
   ე. ინტერნეტ ბანკით მომსახურება;
3. ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ვებ-გვერდის მისამართია www.nbg.gov.ge. საქართველოს ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაზე.

4. საბანკო მომსახურების ზოგად პირობებს, საბანკო მომსახურების ტარიფებს და საჭიროების შემთხვევში სხვა ინფორმაციას, ბანკი ანთავსებს თავის ვებ-გვერდზე (www.ibank.ziraatbank.ge), რომელზეც მომხმარებელს ექნება შეუზღუდავი წვდომა.
5. „2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის დააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე www.diagency.ge”.

საბანკო ანგარიში

1. ბანკი მომხმარებელს ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკის პროცედურებითა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით უხსნის საბანკო ანგარიშებს ეროვნულ ვალუტასა და უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო, თურქული ლირა) და უწევს მას შესაბამის მომსახურებას.
2. ანგარიში იხსნება კლიენტის განცხადების საფუძველზე, ანგარიშის გახსნის პროცედურებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.
3. კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ხორციელდება კლიენტის თანხმობით ანგარიშის მფლობელის მიერ განსაზღვრული რიგითობით ან/და უაქცეპტოდ. კლიენტის ანაგარიშიდან უაქცეპტოდ თანხის ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
   ა) საბანკო მომსახურებისათვის (საკომისიო სარგებელი) საფასურის გადასახდელად, ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად;
   ბ) ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხის უკან დასაბრუნებლად;
   გ) ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად.
   დ) ბიუჯეტში და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისას;
   ე) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;
   ვ) სააღსრულებო/საგადასახადო და კანონმდებლობით ამისთვის უფლებამოსილი ორგანოების მიმართვისას;
   თ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსაწერი თანხა ანგარიშზე არსებული ვალუტისგან (სხვა ვალუტაშია), ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს თანხების კონვერტაცია , რომლის ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისთვუის ბანკში დადგენილი კურსით.
5. კლიენტის მიერ ბანკისთის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება , ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმეა არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება. ასევე, დავალების გაუქმება არ შეიძლება იმ

შემთხვევაში , თუ ბანაკის მიერ უკვე გაცემულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დავალების შესრულებას.

ბანკი ვალდებულია:

1. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარიში ბანკში დადგენილი წესისამებრ, კლიენტის მიერ ბანკში საჭირო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.
2. სამი საბანკო დღის განმავლობაში ჩარიცხოს ანგარიშზე შემოსული შემოსული თანხები და გადარიცხოს დანიშნულებისამებრ, თუკი ამგვარი ოპერაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3. გადარიცხოს კლიენტის დავალებით, მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშზე, აგრეთვე განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობითა და ინსტრუქციებით.
4. მიიღოს და გასცეს როგორც კლიენტისგან ასევე, კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობის შესაბამისად სხვა პირზე (მინდობილ პირზე) ნაღდი თანხა ან/და შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი დავალებები.
5. უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბანკისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა დაკომერციული საიდუმლოების დაცვა.
6. ნაკისრი ვალდებულებების ბრალეულად შეუსრულებლობისას და ამ მიზეზით კლიენტისათვის თანხის გადახდის დაგვიანებისას, გადაიხადოს ჯარიმა არაუმეტეს დაგვიანებული თანხის 0.5%-ის ოდენობისა ყოველ გადაცილებულ დღეზე.

ბანკი უფლებამოსილია:

1. კლიენტის განაცხადისა და ბანკის თანხმობის საფუძველზე გაუხსნას კლიენტს ახალი საბანკო ანგარიში.
2. კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები საკრედიტო და სხვა რესურსების სახით.
3. ხელშეკრულების პიროებების დარრვევის შემთხვევაში დაუხუროს კლიენტს ანგარიში.
4. განახორციელოს საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ დადგენილი ვალდებულება და მოახდინოს კლიენტის ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის გახვლა აღსრულების ბიუროსთან ელექტრონული ან წერილობითი ფორმით.
5. ანგარიშზე ერთი წლის განმავლობაში აქტიური ოპერაციების და ამ ანგარიშზე ნაშთის არ არსებობის შემთხვევაში დაუხუროს კლიენტს ანგარიშები.
6. გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის ამ თანხის 0.5% მისი სარგებლობის ყოველ საბანკო დღეზე.

7. არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ მისთვის მისაღები ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:
   ა) ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;
   ბ) დავალება შედგენილია ან/და წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან/და შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას;
   გ) დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატებოდა ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან/და ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტს;
   დ) ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ;
   ე) კლიენტს გააჩნია ბანკის მიმართ დავალაიანება;
   ვ) კლიენტის საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილია ყადაღა ან/და სასამართლოს გადაწყვეტილება ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ;
   ზ)მოახდინოს კლიენტის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის შეუზღუდავი და მრავალჯერადი მიღება.
   თ) ბანკის მიერ საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში კლიენტს მოსთხოვოს წარმოადგინოს მისი შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობსი შესახებ დოკუმენტაცია, რომელიც დამოწმებული იქნება სათანადო წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსულია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება და უარი უთხრას მომსახურებაზე (მოზიება/გადამოწმება/შენახვა) სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზიდან.
8. ბანკის სალაროში ნაღდი თანხის ოდენობის გათვალისწინებით, კლიენტის მიერ ეროვნული ვალუტის მოთხოვნიდან გადაუხადოს კლიენტს 2 სამუშაო დღემდე ვადაში, ხოლო უცხოური ვალუტის მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღემდე ვადაში.
9. ცალმხრივად შეცვალოს ტარიფები, რომელიც დადგენილი უყო ხელშეკრულების დადების მომენტში.
10. კლიენტი თანახმაა, ბანკის მიერ გაწეული მომსახურბისთვის გადაიხადოს შესაბამისი საკომისიო და ხარჯები. აღნიშნული საკომისიოები და ხარჯები ჩამოიჭრება კლიენტის ანგარიშიდან. საკომისიოებისა და ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, ბანკი კლიენტს შეატყობინებს 30 დღით ადრე წერილობით, ან კლიენტის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით. ამ შეტყობინების საფუძველზე, კლიენტს უფლება აქვს შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში დახუროს საბანკო ანგარიში და შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ამ პერიოდის განმავლობაში არ მიმართავს ბანკს შესაბამისი მოთხოვნით, ჩაითვლება რომ კლიენტი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

კლიენტის ვალდებულებები

1. ანგარიშის წარმოებისთვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების თანხა ბანკის მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად.
2. ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშზე სახსრების არასწორად ჩარიცხვის შემთხვევაში ბანკიდან ამონაწერის მიღებიდან ან/და შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ.

3. დაუყონებლივ აცნობოს ბანკას მის მიერ ბანკისთვის წარდგენილი დოკუმენტებისა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობითი შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიშები, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშების საფუძველზე.
4. დაუყონებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტის მისამართისა და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ.
5. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია.
6. არ გამოიყენოს საბანკო ოპერაციები საქართველოს ნებისმიერი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის (ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და სხვა).
7. შეატყობინოს ბანკს ადგილობრივ ვალუტაში ნაღდი თანხის გატანაზე ერთი დღით ადრე (მიმდინარე დღის 15.00 საათამდე). ხოლო უცხოური ვალუტაში ნაღდი თანხის საჭიროების შემთხვევაში, შეატყობინოს ბანკს ამის შესახებ და შეათანხმოს ბანკთან ნაღდი თანხის მიღების დღე და საათი.

კლიენტის უფლებამოსილება

1. მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, მხოლოსნბანკის უფლებამოსილებისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
2. გასცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ერთ ან რამდენიმე ნდობით აღჭურვილ პირზე საბანკო ოპერაციების საწარმოებლად

საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურება

1. მომხმარებლის განაცხადის საფუძველზე, ბანკი დააქმზადებს და გადასცემს კლიენტს ბარათს, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
2. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თნხა თანხის გამოტანასთან დაკავშირებული საკომისიოს გამოკლებით.
3. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ბარათზე დაშვებულ ხარჯვის ლიმიტს ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები და საჯარიმო პროცენტები.
4. საბარათე ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით იქნას შეზღუდული ბანკის მხრიდან შესაბამისი ლიმიტების შემოღების გზით.
5. საბარათე ანგარიშზე თანხა შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
6. ბარათის მისაღებად, ბარათის მფლობელმა ბანკს უნდა წარუდგინოს დადგენილი ფორმის შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი, შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე ბარათის დამზადების ღირებულება ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

7. ბარათის მფლობელის მიერ ბარათის დამზადების ღირებულების ანგარიშზე შეტანიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში ბანკი ამზადებს და გადაცემს ბარათის მფლობელს დამზადებულ ბარათს და PIN-ს შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით. სასწრაფო ბარათის დამზადების ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) სრული საბანკი დღით.
8. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ბარათის განახლება ხორციელდება ბარათით სარგებლობის ვადის გასვლის სემდეგ ახალი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
9. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ბარათის დამზადებაზე განაცხადი წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ მიმათავს ბანკს და არ ჩაიბარებს დამზადებულ ბარათს, ბანკი უფლებამოსილია აღნიშნული ბარათი გაანადგუროს. ბარათის მფლობელისათვის საბარათე ანგარიშზე რიცხული ნაშთის დაბრუნება ხორციელდება მისი მოთხოვნისთანავე. ბარათის მფლობელს, ბარათის დამზადების ღირებულება არ უბრუნდება.
10. ბარათის მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს საპროცესინგო კომპანია UFC-ის ბარათზე მითითებულ ტელეფონის ნომერებზე ბანკს.
11. ბარათზე ამოტვიფრული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი პასუხისმგებელია ბარათზე განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე.

დეპოზიტი გახსნა

1. განაცხადის საფუძველზე ბანკი კლიენტს უხსნის სადეპოზიტო ანგარიშს და ვადიან დეპოზიტს.
2. ვადიან ანააბარს გააჩნია ვადა. ამასთან, მეანაბრეს არ აქვს უფლება ხელშეკრულებით დადგენილი საბოლოო ვადის დადგომამდე ბანკის თანხმობის გარეშე გაიტანოს ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
3. ხელშეკრულების გაფორმების დღეს ბანკი მეანაბრეს განუსაზღვრელი ვადით უხსნის ანაბრის აღსარიცხავად ვადიანი ანაბრის ანგარიშს, რომელზედაც მეანაბრე ხელშეკრულების გაფორმების დღეს განათავსებს ფულად თანხას.
4. ანაბრის ანგარიშზე განთავსებულ თანხას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დაერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი (365 დღეზე გაანგარიშებით, ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით).
5. მეანაბრის მიერ ვადაზე ადრე თანხის გამოთხოვის შემთხვევაში, ანგარიშზე განთავსებულ ანაბარს არ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი.
6. ბანკი ვალდებულია, გასცეს ანაბარი მეანაბრეზე ანაბრის ვადის ბოლოს იმავე ვალუტაში, რაშიც იქნა მიღებული, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან
7. ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობის ან ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მეანაბრის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები მეანაბრის ანგარიშიდან ან/და დახუროს ანაბარი.

8. ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს ანაბარზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და ამის შესახებ აცნობოს მეანაბრეს ცვლილებამდე 30 კალენდარული დღით ადრე: წერილობით ან SMS-ის, ან ელ.ფოსტი, ან ბანკის ვებ გვერდის, ან ბანკის მომსახურების წერტილებში ინფორმაციის გამოქვეყნებით.
9. ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს ანაბარზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და ამის შესახებ ბანკისათვის მისაღები საშუალებით აცნობოს მეანაბრეს.
10. მეანაბრე უფლებამოსილია შეწყვიტოს ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება ვადაზე ადრე და ბანკს ამის შესახებ აცნობოს 10 სამუშაო დღით ადრე.

მოთხოვნამდე დეპოზიტი

1. განაცხადის საფუძველზე ბანკი კლიენტს უხსნის სადეპოზიტო ანგარიშს და მოთხონამდე დეპოზიტს.
2. მოთხოვნამდე ანაბარს არ გააჩნია ვადა, ამასთან მეანაბრე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაიტანოს ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა სრულად ან ნაწილობრივ.
3. ხელშეკრულების გაფრომების დღეს ბანკი მეანაბრეს განუსაზღვრელი ვადით უხსნის ანაბრის აღსარიცხავად მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშს, რომელზედაც ხელშეკრულების მოქქმედების ვადაში მეანაბრე განათავსებს ფულად თანხებს თავისი სურვილისამებრ. ანაბარზე წლიური პროცენტი იანგარიშება თანხის ანგარიშზე მოხვედრის მომდევნო დღიდან, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით (ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით).დარიცხული საპროცენტო სარგებელი ყოველი კალენდარული თვის ბოლოს რიცხვში ემატება შესაბამის ანგარიშზე.
4. მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე განთავსებულ ანაბრის თანხას დაერიცხება შესაბამისი საპროცენტო სარგებელი, იმ შემთხვევაში, თუ ანაბარზე განთავსებული თანხა აღემატება აუცილებელ მინიმუმს.

ინტერნეტ ბანკით მომსახურება

1. ინტერნრტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ სპეციალუური ინტერნეტ გვერდის https://ibank.ziraatbank.ge/ გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ინფორმაციის მიღებას, სხვადასხვა საბანკო მომსახურებით სარგებლობისთვის რეგისტრაციას, ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.
2. ბანკის მხრიდან ინტერნეტ ბანკის სისტემაში პირის რეგისტრაცია გულისხმობს ბანკის დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად პირის წინასწარ იდენტიფიკაციის საფუძველზე, ბანკის კლიენტისთვის მომხმარებლის სახელის მინიჭებას. ბანკი მომხმარებელს გადასცემს მისთვის განკუთვნილ მომხმარებლის სახელსა და პაროლს. მხოლოდ მომხმარებელია უფლებამოსილი მართოს თანხები საკუთარ ანგარიშზე, იგი ითვლება მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების

შემსრულებლად, შესაბამისად მას არ აქვს უფლება ბანკს დააკისროს პასუხისმგებლობა, მომხმარებლის თანხმობის გარეშე, სხვა პირების მიერ მისი მომხმარებლის სახელის უნებართვო გამოყენების შემთხვევაში.

3. თავის მხრივ, მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, რომ იგი დაუყონებლივ აცნობებს ბანკს მის მიერ მომხმარებლის სახელისა და პაროლის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვის შესახებ, ასევე წერილობითვე განაცხადებს აღნისშნულს, და რომ თავადვე იქნება პასუხისმგებელი იმ პერიოდის განმავლობაში სანამ შეტყობინება გადაეცემა ბანკს და ბანკი გააუქმებს მომხმარებლის კოდსა და პაროლს.
4. ბანკი გადარიცხვის ოპერაციებს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით განახორციელებს მომხმარებლის დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში.
5. ბანკში მომხმარებლის ანგარიშის დახურვის ან მომხმარებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან მიზეზის მითითების გარეშე, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს მომხმარებლი პაროლი და მომხმარებლის უფლება ისარგებლოს სერვისებით.
6. მომხმარებელი ვალდებულია ბანკს წერილობით აცნობოს ბანკითვის მიწოდებული ინფორმაციის ნებისმიერი და ყველა ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან 15 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილებით გამოწვეული ყველა ვალდებულება დაეკისრება მომხმარებელს.
7. მომხმარებელი თანახმაა, რომ ბანკის „უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი“, რომელიც დაფიქსირდება ოპერაციის შესრულების მომენტში გამოყენებული იქნება ნებისმიერუ ონლაინ ვალუტის შეენის/გაყიდვის ოპერაციბის დროს, და რომ ამგვარი გაცვლითი კურსი მომხმარებლს ეცნობება იმ ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლითაც განხორციელდება ტრანზაქცია.

საბანკო საიდუმლოება

1. ბანკი ვალდებულია საიცვას მომხმარებელთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), რომელიც ცნობილი გახდა მისთვის მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანუ თუ საქმე ეხება იმ ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას (საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად), რომლითაც არ ილახება მომხმარებლის ინტერესები.
2. ბანკის ეს მოვალეობა ძალაშია ხელსეკრულების შეწყეტის შემდეგაც.

ბანკში პრეტენზიების წარდგენის ფორმები და მისი მიღების სტანდარტული პროცედურები

1. მომხმარებლის მხრიდან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, ბანკში პრეტენზიის წარდგენის ფორმაა ზეპირი ან წერილობითი.
2. მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის წერილობითი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე განისაზღვრება 15 სამუშაო დღე.

3. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ასევე, ბანკის პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები რეგულირდება ბანკში პრეტენზიების წარდგენის შესახებ დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალში (სანაპიროს ქუჩა N6, თბილისი) ყველა დაინტერესებული პირისთვის.
4. ნებისმიერი დავა საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა საარბიტრაჟო დაწესებულებას შპს „დავების განმხილველ ცენტრს“, რომელიც დავას განიხილავს მისი საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად (ს/კ - 204547348; იურიდიული მისამართი ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, 2 სართული, ოფისი 11, ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE)
5. სამართალწარმობის ენად განსაზღვრულია ქართული.
6. არბიტრაჟის ადგილად განსაზღვრულია ქ. თბილისი.

ფორს-მაჟორი

1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებლებისგან, თუ ისინი გამოწვეული არის ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. კერძოდ: წყალდიდობებით, მიწისძვირთ, ხანძრით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახეკმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებით.
2. მხარეების მიერ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

შეტყობინებების/გზავნილის მიწოდება

1. მომხმარებელი თანახმაა ბანკისაგან გზავნილი, შეტყობინება, უწყება მიიღოს ბანკში მის მიერ მითითებულ მისამართზე ან ელ.ფოსტის მისამართზე და ადასტურებს, რომ მითითებულ მისამართზე ან ელ.ფოსტის მისამართზე ის სრულად და დაბრკოლების გარეშე შეძლებს გზავნილის, შეტყობინების, უწყების მიღებას და ამ მისამართზე ან ელ.ფოსტის მისამართზე გზავნილს, შეტყობინების, უწყების გაგზავნა განხილული უნდა იქნას, როგორც მათი მომხამრებლისთვის სათანადო წესით ჩაბარებად მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ტექნიკური ან საკურიერო დასტური გზავნილის, შეტყობინების, უწყების მსესხებლისათვის ჩაბარების შესახებ.
2. მომხმარებლის ადგილსამყოფელზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის გაგზავნის დღეს ბანკისათვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მომხმარებელი წერილობით წინასწარ არ აცნობებს ბანკს.
3. მომხმარებელი ადასტურებს, რომ ის შეუფერხებლად იყენებს ბანკში დაფიქსირებულ ელ.ფოსტას და ამ ფოსტის გაუმართაობის, შეუფერხებლად მუშაობის, მასთან წვდომის დაკარგვის ან სხვა გარემოებათა გამო ელ. ფოსტაზე შეტყობინების/გზავნილის მიუღებლობის ან მიღებული ელეტრონული შეტყობინების/გზავნილის ნახვის შეუძლებლობის ყველა ნეგატიურ შედეგზე მხოლოდ თვითონაა პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ

მომხმარებელი დაკარგავს წვდომას ელექტრონული ფოსტასთან ან შიცვლის ელექტრონული ფოსტის მისამართს, მან ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს ბანკს და ასევე იმავდროულად მიუთითოს ალტერნატიული ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.